ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №882945

ნომერი: AR1159465

თარიღი : 04.09.2013

გაცემის თარიღი : 12.09.2013

გაცნობის თარიღი : 13.09.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , N 45ა / ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , N 45ა , მიმდებარედ (ნაკვეთი 11/069);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ კვირცხალია პ/ნ 01001009860
- თბილისი გლდანის დას. მამკოდის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

თქვენი AR1159465 04.09.2013წ. განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით #01.11.12.011.070 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მოქცეულია საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

– მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,5.
– მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=2,5.
– მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0,1.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს მიხედვით საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები; ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობების გარდა, შესაძლებელია, სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი 1).

თუ თქვენ აპირებთ არსებული შენობების რეკონსტრუქციას მხოლოდ დაშენებით (სკოლა) და არ იზრდება მოშენების ფართი, შესაბამისი განაცხადი და პროექტი უნდა აიტვირთოს www.tas.ge-ზე მშენებლობის ნებართვის შესაბამის ველში, რადგან შენობის რეკონსტრუქცია–დაშენება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას.

-

ტeqnikuri გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

დანართი 1

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6):
მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები.

ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:

- განაშენიანების საშუალო და მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები (დომინირებული სახეობა);
- პარკი;
- ბაღი;
- სკვერი;
- ბულვარი;
- საბავშვო მოედანი;
- ინდივიდუალური სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო საცხოვრებელ სახლებში და ცალკე მდგომი, სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- საბავშვო ბაღი და სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულება;
- დაწყებითი სკოლა;
- საშუალო სკოლა;
- საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება;
- პოლიკლინიკა;
- ამბულატორია;
- აფთიაქი;
- სპორტული დარბაზი;
- საცურაო აუზი;
- სპორტული მოედანი;

- კლუბი;
- კინოთეატრი;
- საქალაქო ბიბლიოთეკა;
- საინფორმაციო ცენტრი;
- საგამოფენო დარბაზი;
- პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია;
- სამრეწველო საქონლის მაღაზია;
- სასურსათო მაღაზია;
- უნივერსალური მაღაზია;
- ბარი;
- კაფე;
- სწრაფი კვების ობიექტი;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
- ოფისი და კანტორა;
- საფოსტო და კავშირგაბმულობის განყოფილება;
- ბანკების ფილიალი, განყოფილება;
- იურიდიული კონსულტაცია;
- სანოტარო კანტორა;
- ღია ავტოსადგომი და ჩაშენებული გარაჟი;
- საერთო სარგებლობის მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომები.

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას:

- მოხუცთა, ბავშვთა და სხვათა ინტერნატი;
- საავადმყოფო;
- უმაღლესი სასწავლებელი;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური;
- თეატრი;
- არქივი;
- მუზეუმი;
- საცეკვაო დარბაზი-დისკოთეკა;
- რესტორანი;
- კიოსკი, დროებითი პავილიონი, საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისათვის;
- ბანკი;
- მართვის დაწესებულება და ორგანიზაცია;
- ოფისი და კანტორა;
- სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაცია;
- სასამართლო;
- პოლიციისა და არასაუწყებო დაცვის განყოფილება;
- სახანძრო დეპო;
- სასტუმრო;
- საზოგადოებრივი ტუალეტი;
- ავტოგასამართი სადგური;
- კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტები.
- საკულტო შენობები და ნაგებობები.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.